ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N202/35

ქ.თბილისი 03 ოქტომბერი 2019 წ.

ერთი მხრივ, **სსიპ - ქალაქ თბილისის N202 საჯარო სკოლა** (შემდგომში ,,შემსყიდველი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის დროებით მოვალეობის შემსრულებლის თინათინ საბაურის სახით და მეორე მხრივ, ფ/პ ქრისტინე ჩილინგარაშვილი ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს[1]“ ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის გზით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია წინამდებარე ხელშეკრულებისა და მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე *საგანმანათლებლო სფეროს ადმინისტრაციული მომსახურების გაწევა* (CPV: 75121000) და გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება საკუთარი შემოსავლებიდან.

მუხლი 2. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების წესი

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 300 (სამასი) ლარს, კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების ჩათვლით;

2.2. მომსახურების გაწევა დასტურდება მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისთვის წარდგენილი მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისად.

2.3. შემსყიდველი მიმწოდებელს ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ღირებულებას უხდის უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვის გზით.

მუხლი 3. მომსახურების მიწოდებისა და ხელშეკრულების მოქმედების ვადა

3.1. მომსახურების გაწევა განხორციელდება 2019 წლის 03 ოქტომბერის 2019 წლის 04 ნოემბრის ჩათვლით.

3.2. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2019 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 4. მხარეთა უფლება-მოვალეობები

4.1. შემსყიდველი ვალდებულია:

4.1.1. შეუქმნას სამუშაო პირობები მიმწოდებელს და მისი მოთხოვნის საფუძველზე მიაწოდოს ყველა საჭირო დოკუმენტაცია და ინფორმაცია;

4.2.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დაცვით აანაზღაუროს გაწეული მომსახურების ღირებულება.

4.2. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს სკოლის საგანმანათლებლო სფეროს ადმინისტრაციული მომსახურების გაწევა, რომელიც მოიცავს შემდეგ ვალდებულებებს:

4.2.1. სკოლის საგანმანათლებლო სფეროს ადმინისტრაციული მომსახურების გაწევა;

4.2.2. ზოგადი განათლების კუთხით, განათლების სისტემაში რეფორმების განხორციელებაში სკოლისათვის დახმარების აღმოჩენა;

4.2.3. საჭიროების შემთხვევაში შემსყიდველთან ვიზიტების (კვირაში არაუმეტეს 1 ვიზიტი) განხორციელება;

4.2.4. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან, ფუნქციონირებასთან დაკავშირებით კონსულტაციების გაწევა;

4.2.5. სკოლის საქმიანობისათვის საჭირო სიახლეების გაცნობა და მიწოდება;

4.2.6. სასწავლო პროცესის სწორად ორგანიზებასთან დაკავშირებით კონსულტაციის გაწევა; შემსყიდველისათვის რეკომენდაციების მიცემა სკოლის შინაგანაწესისა და სხვა სასკოლო დოკუმენტაციის შემუშავების, დამტკიცებისა და შესრულების პროცედურების შესახებ;

4.2.7. სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტის მომზადებაში დახმარება;

4.2.8. ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებით კონსულტაციის გაცემა და შესაბამისი დოკუმენტაციის შემუშავებაში დახმარება (ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმის შემუშავებასა და ინკლუზიურ განათლებაზე შიდა მონიტორინგის განხორციელების წესის შემუშავებასთან დაკავშირებით კონსულტაციის გაწევა და ა.შ);

4.2.9. სკოლის თანამშრომლებისა და სტაჟიორების/პრაქტიკანტების მიღებასთან დაკავშირებით კონსულტაციის გაწევა;

4.2.10. სამეურვეო საბჭოს, პედაგოგიური საბჭოსა და საგნობრივი კათედრების საქმიანობასთან დაკავშირებით კონსულტაციის გაწევა, მათი გამართული და ეფექტური საქმიანობის ხელშეწყობა;

4.2.11. დისციპლინური კომიტეტის ფორმირებასა და მის საქმიანობასთან დაკავშირებით დახმარება, (მათ შორის, განსახილველი საკითხის შესაბამისი პროცედურების დაგეგმვა და დოკუმენტაციის მომზადებაში დახმარება);

4.2.12. საჭიროების შემთხვევაში, დისციპლინურ წარმოებაში სკოლის დახმარება(მხოლოდ დოკუმენტის ნიმუშის მომზადება);

4.2.13. მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნების ორგანიზებასთან და მის ფუნქციონირებასთან დაკავშირებით კონსულტაციის გაწევა და შესაბამისი დოკუმენტაციის მიწოდება, მათი გამართული და ეფექტური საქმიანობის ხელშეწყობა;

4.2.14. შიდა აუდიტის დასკვნებზე პასუხების მომზადებაში დახმარება და დაშვებული შეცდომების გამოსწორებისა და შემდგომში პრევენციის მიზნით, შესაბამისი რეკომენდაციების მიწოდება;

4.2.15. უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების პროცედურაში დახმარება;

4.2.16. მასწავლებლის პროფესიული განვითარების ფარგლებში სხვადასხვა აქტივობების განხორციელებაში კონსულტაციის გაწევა და შესაბამისი აქტივობების შეფასების ოქმების პროექტების მომზადება;

4.2.17. საჯარო სკოლის საკუთრებაში არსებული ქონების ინვენტარიზაციის, ჩამოწერის ან/და ქონების გადაცემის პროცედურების დაგეგმვა და განხორციელება;

4.2.18. კომპეტენციის ფარგლებში საგანმანათლებლო სფეროს ადმინისტრაციულ მომსახურებასთან დაკავშირებული სხვა ფუნქციების შესრულება.

4.3. შემსყიდველი უფლებამოსილია:

4.3.1. მოითხოვოს მიმწოდებლისგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროული და ხარისხიანი შესრულება;

4.3.2. მოითხოვოს მიმწოდებლისაგან საგანმანათლებლო სფეროს ადმინისტრაციული მომსახურების მიღების მიზნით კონსულტაციის გაწევა, წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული წესით.

4.3.3. მოითხოვოს მიმწოდებლისაგან საგანმანათლებლო საქმიანობისთვის საჭირო დოკუმენტაციის ნიმუშების გამოგზავნა;

4.3.4. საჭიროების შემთხვევაში, მიმწოდებლისაგან მოითხოვოს სკოლაში ვიზიტი და ადგილზე დოკუმენტაციის გადახედვა.

4.4. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

მოითხოვოს შემსყიდველისგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროული შესრულება.

მუხლი 5. მხარეთა პასუხისმგებლობა

მხარეები პასუხს აგებენ მათ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, ან არაჯეროვანი შესრულებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 6. ხელშეკრულების შეწყვეტა

6.1. ხელშეკრულება ავტომატურად წყდება:

6.1.1. ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო;

6.2. მხარეებს შეუძლიათ ურთიერთშეთანხმებით, ორმხრივად შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.

6.3. თუ მხარემ არ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, მეორე მხარეს უფლება აქვს წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით, ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება.

მუხლი 7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

7.1. ხელშეკრულებაში ყოველი ცვლილების შეტანა წარმოადგენს შეთანხმებას და საჭიროებს წერილობით ფორმას, რომელსაც ხელს აწერენ მხარეები.

7.2. ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილება წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 8. დავის გადაწყვეტა

მხარეები ხელშეკრულებიდან გამომდინარე წარმოშობილ დავებს წყვეტენ ურთიერთშეთანხმებით, ხოლო შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავების გადასაწყვეტად მიმართავენ სასამართლოს, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

მუხლი 9. ფორს მაჟორი

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით მეორე მხარისათვის მიყენებული ყოველგვარი ზიანის ანაზღაურებისაგან, თუ ეს გამოწვეულია ფორს-მაჟორული სიტუაციით.

მუხლი 10. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და თითოეული ინახება მხარეებთან.

მუხლი 11. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი: სსიპ - ქალაქ თბილისის N202 საჯარო სკოლა ს/კ 206091398 მის. ქ, თბილისი, გუთნის ქ. N2 **დირექტორის დროებით მოვალეობის შემსრულებელი** **თინათინ საბაური** _____ (ხელმოწერა) ბ.ა	**მიმწოდებელი:** ფ/პ ქრისტინე ჩილინგარაშვილი **პ/ნ 01019068634** **საბანკო რეკვიზიტები:** ს/ს ,,თიბისი ბანკი“ ბანკის კოდი TBCBGE22 ა/ა GE90TB7565045061100016 **ქრისტინე ჩილინგარაშვილი** _____ (ხელმოწერა)